პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 58 (2778) ● ოთხშაბათი, 24 მარტი, 1965 წ. ● ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსმოსის გმირები მოსკოვში

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვის მშრომელებმა, სტუმრებმა გუშინ, 23 მარტს აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს კოსმოსის გმირებს პ. ბელიაევსა და ა. ლეონოვს.

რეაქტიულ გამანადგურებელთა საპატიო ესკორტის თანხლებით გამოჩნდა საჰაერო ხომალდი „ილ-18“, რომელშიც იჯდნენ პ. ბელიაევი და ა. ლეონოვი. თვითმფრინავი დაეშვა აეროდრომზე, აეროპორტთან მოვიდა და იქიდან გადმოვიდნენ მამაცი კოსმონავტები: პ. ბელიაევი და ა. ლეონოვი გაემართნენ საგანგებოდ მოწყობილ ტრიბუნისაკენ. პ. ბელიაევმა პატაკი ჩააბარა კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. მან მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას, რომ კოსმოსური ხომალდის ფრენა წარმატებით დამთავრდა, ეკიპაჟი თავს ჩინებულად გრძნობს და მზად არის შეასრულოს პარტიისა და მთავრობის ყოველგვარი დავალება. პ. ი. ბელიაევსა და ა. ა. ლეონოვს გულთბილად შეხვდნენ ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ე. შელესტი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. ნ. ეფრემოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი.

წითელ მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა ნ. ვ. პოდგორნიმ. სიტყვებით გამოვიდნენ გმირი კოსმონავტები პ. ბელიაევი და ა. ლეონოვი. მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ღირსეულთა ოჯახში

კვირას, 21 მარტს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა ფაბრიკა-ქარხნებისა და საკოლმეურნეო მინდვრების, მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების, ადამიანის საქმიანობის სხვა დარგების მოწინავე წარმომადგენლებს. მათ შორის თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარეს ჩვენმა სახელოვანმა სპორტულმა მოღვაწეებმა — თბილისის სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორმა გ. პაილიჭაძემ, თბილისის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ გ. რცხილაძემ, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორმა ვ. სამსონაძემ, „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა წყალბურთში ნ. გვახარიამ, მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილმა, ოლიმპიელმა მოფარიკავემ ნ. აქათიანმა, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანმა შ. იამანიძემ, სსრ კავშირის ჩემპიონმა კლასიკურ ჭიდაობაში რ. რურუამ.

ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანთა სპორტული და შრომითი საქმიანობა კომენტარს არ საჭიროებს. იმედია, ისინი ჩვეული შრომისმოყვარეობით შეუდგებიან დეპუტატის მაღალი მოვალეობის აღსრულებას და ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში თავიანთ წვლილს შეიტანენ.

რავილია სალიმოვა საბჭოთა კალათბურთის საოცრებაა. სიმაღლით (იგი ხომ 202 სანტიმეტრია!) მას თამამად შეიძლება ვანდოთ ადგილი ვაჟთა გუნდში. თავისი გოლიათური აღნაგობის მიუხედავად, იგი საკმაოდ მოქნილი და სწრაფია. ეს კი უკვე ისეთი თვისებებია, რომელიც ტაშკენტის „ტექსტილმაშის“ კაპიტანს, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ და აგრესიულ თავდამსხმელად ხდის.

ტანმორჩილიაო, ვერ ვიტყვით ვერც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცენტრზე, კოვზირიძეზე, თუმცა ტაშკენტელთან შედარებით იგიც „ჩვეულებრივ მოკვდავს“ ჰგავს. კოვზირიძის თანაგუნდელი გრიგორიანი კი ამ გიგანტების გვერდით მართლაც „ქონდრის ქალია“. მაგრამ რაა სიმაღლე, თუ სპორტსმენს ისეთი ენერგია, ტექნიკა და ბრძოლის ჟინი, აქვს, როგორც ვერცხლისწყალივით სწრაფ გრიგორიანს!

სურათზე თქვენ ხედავთ სალიმოვას, რომელიც კალათში „დებს“ ბურთს. კოვზირიძე მას ფაქტიურად ხელს უკვე ველარ შეუშლის. პატარა გრიგორიანი კი საბრძოლო მზადყოფნაშია. ვინ იცის, ბურთმა ეგებ ვერ მიაღწიოს მიზანს...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გუშინ...

ჭერჭეროზით ანგარიშია

8:3

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში იუგოსლავიისა და საქართველოს გუნდებს შორის. ვინაიდან არცერთ წონით კატეგორიაში 3-3 მონაწილეზე ნაკლები არაა (ზოგში 4-4-იც კი), შეჯიბრება 2 წრედ ტარდება.

პირველი წრის შემდეგ საქართველოს გუნდი ლიდერობდა — 8:3. 6 შეხვედრა ჩვენი მოჭიდავეების გამარჯვებით დამთავრდა, 4-ში აღინიშნა ფრე. სტუმრებს ერთი ქულა მისცა 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ი. ხორვარტმა, რომელმაც თანაბარ ბრძოლაში უმნიშვნელო უპირატესობით მოუგო კ. ღულუნიშვილს (ქვესაშუალო წონა).

მსუბუქ წონაში ბრწყინვალე ოსტატობა აჩვენა ჩვენი გუნდის წარმომადგენელმა სპორტის ოსტატმა ვ. ხანდოლიშვილმა, რომელმაც 24 ქულის განსხვავებით დაამარცხა მ. ნემედა.

ტურნირის მეორე წრე გვიან ღამით დამთავრდა.

ეს ერთი და სხვა მრავალი...

ხარკოვი, 23 მარტი (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა გუნდური ასპარეზობის I ტური. საქართველოს გუნდმა, რომელიც III ჯგუფში გამოდის, საუკეთესოდ აიღო სტარტი. მან „მშრალი“ ანგარიშით (4:0) დაამარცხა ესტონეთის ნაკრები: კერნოჟიცკიმ მოუგო კალეპს, ბოკუჩავამ — სანგლს, უბილავამ — პიკერს, ნანა ალექსანდრიამ — ჰოლანდს.

უკრაინის მოსწავლეებმა მოუგეს ლიტველებს — 3:1. გზათა სამინისტროსა და მოლდავეთის სპორტსმენთა შეხვედრაში წინ არიან მოლდაველები (2:1, ერთი პარტია გადადებულია). გზათა სამინისტროს გუნდს ქულა მოუტანა თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონმა მიქაძემ, რომელმაც დაამარცხა ოსტატობის კანდიდატი გოიხმანი.

II ჯგუფის შედეგებიდან აღსანიშნავია მოსკოვისა და ლატვიის ნაკრებთა შეხვედრა (ორივე გუნდი ფინალში გასვლის მთავარი პრეტენდენტია). ჯერჯერობით ანგარიში მიჰყავს მოსკოვის გუნდს — 2:1 (1 პარტია არ დამთავრებულა).

ა. ბუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

კვლავ კოხტა გორაზე

თხილამურები

ბაკურიანი (ტელეფონით). კოხტა გორის თოვლიანი ფერდობები კვლავ აახმიანეს მოთხილამურეებმა, ამჯერად, ზამთრის სამჭიდში საქართველოს პირად-გუნდური პირველობის მონაწილეებმა. შეჯიბრება, რომლის სტარტებზე საუწყებო გუნდები გამოვიდნენ, კომპლექსურ ხასიათს ატარებდა და სასიამოვნოა, რომ მონაწილეებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს. ყოველ სახეობაში პირველობისთვის ბრძოლა ძალზე დაძაბული იყო, რასაც მოწმობს პრიზიორთა წუთები და წამები.

შეჯიბრება გახსნეს 1600 მ სწრაფდაშვებაში მოასპარეზეებმა. გამარჯვებულის — შ. კოზანაშვილის („დინამო“) შედეგია 1.06,9. მეორე ადგილი დაისაკუთრა დინამოელმა ი. ოგანეზოვმა — 1.07,0, მესამე — ი. ჯანგობეგოვმა — 1.07,3. ქალებში უძლიერესი იყო ლ. გოგოლაძე („კოლმეურნე“) — 1.22,2.

მეორე დღეს მოეწყო შეჯიბრება გიგანტურ სლალომში. აქაც პირველობა არავის დაუთმეს ლ. გოგოლაძემ (1.35,7) და შ. კოზანაშვილმა (1.17,8).

ოტეპია — ჩემპიონთა ნათლია

ესტონეთის პატარა ქალაქ ოტეპიას გარბზე დროთა ვითარებაში უეჭველად მოინახება ადგილი წყვილი თხილამურებისთვისაც. უკვე მეორე შემთხვევაა, როცა საბჭოთა კავშირის უძლიერესი ოსტატები საასპარეზოდ გამოდიან ადგილობრივ სათხილამურო ბილიკებზე და დათოვლილ ჭალებსა და ტყეებში, გაყინულ ტბათა სარკისებურ ზედაპირზე ეჭიშპებიან ერთმანეთს ოქროს მედლებს. რა თქმა უნდა, მხოლოდ წარმავალი ესტონური ზამთრის სილამაზემ არ მიიზიდა 450 სპორტსმენი, რომლებიც 21 საზოგადოებისა და უწყების გუნდებს შეადგენენ. საქმე იმაშია, რომ ოტეპიას სათხილამურო ბილიკები მეტისმეტად ჭირვეულია და თავისი ხასიათით ძალიან ახლოსაა სკანდინავიურთან. იქ კი, ჰოლმენკოლენში (ოსლოს მახლობლად), ერთი წლის შემდეგ ხომ მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს!

სტარტი ორივე დისტანციაზე — 10 კილომეტრზე ქალთათვის და 30 კილომეტრზე ვაჟთათვის ერთდროულად მისცეს. ტემპი, რომლითაც დაიწყეს რბოლა ქალებმა და ვაჟებმა, მრავლისმეტყველი იყო. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ მხოლოდ ორი ლაურეატი იქნებოდა! და ეს ლაურეატები გახდნენ მოსკოველი მასწავლებელი, 26 წლის რიტა აჩკინა და კრასნოგორსკელი ზეინკალი, 30 წლის ივანე უტრობინი.

აჩკინასთვის ეს იყო პირველი ოქროს მედალი, რომლის მოპოვებისთვის მან „მამაკაცური“ სისწრაფით გაიარა ტრასა — 34.57,0. ამ „ოქროს“ ფასი მაღლდება იმით, რომ უკან დარჩნენ მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ა. კოლჩინა (მოსკოვი), ცნობილი ლენინგრადელი ე. მეკშილო, ოლიმპიური ჩემპიონი კ. ბოიარსკიხი (სვერდლოვსკი)...

უტრობინმა წელს ჩემპიონთა სია გახსნა: იანვარში მოიგო 70-კილომეტრიანი რბოლა. ახლა მისი დროა 1.28,22. უტრობინის დაწევას ცდილობდა გ. ვაგანოვი, მაგრამ მან განსხვავება მხოლოდ ნახევარ წუთამდე დაიყვანა. მესამე პრიზიორი გახდა ახალგაზრდა მოსკოველი მოთხილამურე ვ. ვედენინი.

იუნიორ გოგონათა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა 19 წლის ხაბაროვსკელ გ. პილიუშენკოს.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება ბიატლონში შეინარჩუნა მოსკოველმა სტუდენტმა ალექსანდრე პრივალოვმა. 20 კილომეტრზე რბენაში მისი შედეგია 1.18,43 (გამარჯვებულმა 19-ჯერ მოახვედრა ტყვია მიზანს). მეორე ადგილზეა ლენინგრადელი არმიელი ვ. მაკაროვი — 1.19,40 (18 ზუსტი გასროლა), მესამეზე — კრასნოგორსკელი მასწავლებელი ე. რეპინი — 1.19,43 (18).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სპორტის მომავალი გამარჯვებებისათვის!

საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გ. სიხარულიძის გამოსვლიდან სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს II პლენუმზე

ტოკიოს XVIII ოლიმპიადაზე საბჭოთა სპორტულმა დელეგაციამ კვლავ მოიპოვა საერთო გუნდურ არაოფიციალურ ჩათვლაში პირველი ადგილი. მაგრამ, ამასთან, ოლიმპიადამ გამოავლინა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი ჩვენი სპორტსმენების მზადებაში, რომლებიც ახლა საგულდაგულო ანალიზს მოითხოვენ, რათა საბჭოთა სპორტმა კვლავ შეძლოს მოწინავე პოზიციების შენარჩუნება, მათი განმტკიცება და გაფართოება.

რომის ოლიმპიადაზე ჩვენი დელეგაციის დიდი წარმატების შემდეგ საზღვარგარეთის პრესაში გახშირდა წერილები, რომლებიც ტოკიოში საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა დამარცხებისა და ამით — კაპიტალისტური სამყაროს უპირატესობის დამტკიცების მოწოდებას შეიცავდნენ. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული წყობილების დამქაშებს ტოკიოშიც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, არ შეიძლება თვალი დავხუჭოთ ამაზეც, რომ მთელმა რიგმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ძალზე ეფექტურად გამოიყენეს მოსამზადებელი პერიოდი რომიდან ტოკიომდე. ამან კი გამოიწვია ჩვენი ცალკეული წარუმატებლობანი სპორტის ზოგიერთ სახეობაში.

ზემოთაც აღვნიშნეთ: ამ წარუმატებლობებს საფუძვლიანი ანალიზი სჭირდება!

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მათი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია შეჯიბრებათა საკავშირო კალენდრის არასწორი დაგეგმვა. იგი ხშირად მეცნიერული მონაცემების საწინააღმდეგოდაც კი მიდის და ვერ უზრუნველყოფს საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის შემდგომ ამაღლებას. ეს არანორმალური მდგომარეობა კი, პირველ რიგში, განპირობებულია ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში არსებული სტრუქტურული ხარვეზებით; შეჯიბრებათა კალენდარი იგეგმება არა მხოლოდ სპორტკავშირის ხაზით, არამედ ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების მიერაც.

მრავალწლიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა ამ კალენდრის კოორდინირება პრაქტიკულად არარეალურია. თანამედროვე მეცნიერების მონაცემებით, შეჯიბრებები ორგანულად უნდა ერწყმოდეს საწვრთნო პროცესს — მისი ცალკეული ეტაპების ლოგიკურ დაგვირგვინებას უნდა წარმოადგენდეს. შეჯიბრებათა ციკლმა თანდათანობით უნდა მოამზადოს სპორტსმენი აღნიშნული სეზონის ცენტრალური ასპარეზობისთვის. და მანაც სწორედ ასეთ ასპარეზობაზე უნდა შეძლოს უმაღლესი სპორტული შედეგის ჩვენება. მეცნიერული კვლევით დადასტურებულია, რომ ათლეტის სპორტული ფორმის განვითარება გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება და შეჯიბრებათა [illegible] ეს უნდა გავითვალისწინოთ.

სინამდვილეში კი რა ხდება?

რამდენადაც შეჯიბრებები ბევრი ორგანიზაციის მიერ იგეგმება, ხდება [illegible] „შეჯიბრებობა". მაგალითად, ტანვარჯიშის ფედერაციის საგანგებო გადაწყვეტილების მიუხედავად (წინამზადებელ პერიოდში — დიდი შეჯიბრებები არ ჩატარდეს), „ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" ცენტრალურმა საბჭოებმა 1964-1965 წლების სეზონში სწორედ ამ დროს გამართეს თავიანთი პირველობები. „დინამოს", „სპარტაკისა" და ზოგიერთი სხვა სპორტსაზოგადოების ცენტრალურმა საბჭოებმა თავიანთი საკავშირო პირველობანი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ტანვარჯიშსა და კრივში ჩაატარეს 1964 წლის ნოემბერ-დეკემბერში. ჩვენი აზრით კი, ეს შეჯიბრებები უნდა გამართულიყო ოლიმპიურ თამაშებამდე, ტოკიოზე გამიზნული საკავშირო კალენდრის ასპექტში.

კიდევ ერთი მაგალითი: ყოველწლიურად იცვლება ველოსპორტში სსრ კავშირის პირველობისა და საკავშირო მრავალდღიანი რბოლის ჩატარების ვადები, რაც იწვევს სპორტსმენთა მომზადების მეთოდიკის შეცვლას. როგორც ჩანს, ესაა ჩვენს გზატკეცილზე მრბოლელთა მაჩვენებლების არასტაბილურობისა და მსოფლიო პირველობებზე მათი უცილობელი დამარცხებების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. 1964 წლის სექტემბერს ჩატარებულმა საკავშირო მრავალდღიანმა რბოლამ ვერ შეძლო ტოკიოს ასპარეზობისათვის მზადების ხელშეწყობა. ოლიმპიური რბოლების ხასიათი მოითხოვდა არა მრავალდღიან რბოლაში მონაწილეობას, არამედ რამდენიმე თითოდღიანი ასპარეზობის მოწყობას, როგორც ეს მსოფლიოს უძლიერესმა ველოსიპედისტებმა გააკეთეს.

დამახასიათებელია, რომ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა — ქიარავასმა მრავალდღიან რბოლაში გაფლანტა ყველა თავისი საბრძოლო თვისება და ტოკიოში მხოლოდ მაყურებლის როლში მოუხდა „გამოსვლა".

დასკვნა: მსგავსი შეჯიბრებები ხელს არ უწყობს სპორტსმენთა ზრდას, ძალებს ალევს მათ ძირითადი ასპარეზობის წინ და მხოლოდ ფუჭად ფანტავს სახელმწიფო სახსრებს.

როგორ შეიძლება რაციონალურად დავგეგმოთ საწვრთნელი პროცესი, როცა გამუდმებით იცვლება საპასუხისმგებლო შეჯიბრებათა ჩატარების დადგენილი ვადები და თანაც — ერთობ ფართო მასშტაბითაც?! მაგალითად, ტყვიით სროლაში დაგეგმილი 7 საკავშირო შეჯიბრებიდან უკვე მიმდინარე წელსვე შეიცვალა სამის ჩატარების თარიღი. ასევე გადასხვაფერდა ჩვენი ქვეყნის პირველობათა ჩატარების ვადები ძალოსნობაში, სასტენდო სროლაში და ზოგიერთ სხვა სახეობაში.

შეჯიბრებათა კალენდრის ხშირი დარღვევა არა მარტო საწვრთნელ პროცესზე მოქმედებს უარყოფითად, არამედ ჩვენი სპორტის [illegible] ტრადიციებს, რომლებიც ესოდენ აუცილებელია საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობისთვის.

დღეს განსაკუთრებით წინა პლანზე გამოდის ჩვენი სპორტის მატერიალური ბაზის საკითხი. ეს იმიტომ, რომ კაპიტალისტური სამყარო ჩვენთან გამძაფრებულ სპორტულ ჭიდილში, რომელსაც ახლა წმინდა პოლიტიკურ ასპექტში განიხილავს, მიმართავს ყველა ღონეს, არ ერიდება დიდ ფინანსურ ხარჯებსაც კი, რათა როგორმე მოიგოს ეს პაექრობა და ამის საფუძველზე მისთვის სასურველი პროპაგანდისტული განგაში ატეხოს.

იმისთვის, რომ წარმატებით გადავჭრათ ოლიმპიურ თამაშებზე და დიდ შეჯიბრებებში ყველა კაპიტალისტური ქვეყნის დამარცხების ამოცანა, უნდა გავზარდოთ და განვამტკიცოთ სპორტის მატერიალური ბაზა. ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, რამდენადაც მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენ უფრო მძიმე პირობებში მოგვიხდება გამოსვლა.

ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა რესპუბლიკური და საქალაქო მასშტაბების შეჯიბრებათა რიცხვი, ხოლო ასეთ პირობებში, ამ შეჯიბრებათა გარეშე, სპორტსმენთა მომზადებისა და ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლინების ამოცანა ერთობ ძნელდება.

ასეთი ახალგაზრდობის ახალი ნაკადის შემცირებამ განაპირობა ის, რომ ოლიმპიური ნაკრები გუნდების დაკომპლექტება ხშირად ვეტერანების ხარჯზე ხდებოდა, ისინი კი ყველა შემთხვევაში როდი ინარჩუნებდნენ თავიანთ საბრძოლო თვისებებს. ამიტომ იყო, რომ ტოკიოში ჩვენი დელეგაცია დიდასაკოვანი სპორტსმენების მაღალი პროცენტით წარდგა.

ჩვენი სპორტის წინსვლისათვის მეტად საჭიროა აღდგეს ისეთი ასპარეზობების კარგი ტრადიცია, როგორიც იყო ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის, შუა აზიისა და სხვა სპარტაკიადები, სამატჩო შეხვედრები რესპუბლიკათა შორის სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ეს შეჯიბრებანი ჩვენ გვეხმარებოდა საბრძოლო სპორტული ფორმის მუდამ შენარჩუნებაში.

რამდენიმე სიტყვა სპორტულ ნაგებობებზე.

უკანასკნელი წლების მანძილზე (ზოგიერთი ქალაქის გარდა) მათი მშენებლობა აღარ მიმდინარეობდა. ჩვენ კი დიდი ხანია მათს მწვავე ნაკლებობას განვიცდით. საქართველოს, მაგალითად, სხვა სპორტულ ნაგებობებზე რომ არაფერი ვთქვათ, არ გააჩნია წესიერი ველოტრეკი, ხოლო ერთადერთი დახურული საწყალოსნო აუზი ხანგრძლივი კონსერვაციის შემდეგ მხოლოდ ახლა შედის მწყობრში. და ეს მაშინ, როცა მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა აღზრდის მოთხოვნა ჩვენს მიმართ წლიდან წლამდე იზრდება.

ბაზების მშენებლობა, ესაა პრობლემა, რომელიც გადაუდებელ სახელმწიფოებრივ გადაწყვეტას საჭიროებს!

თანამედროვე სპორტში სარეკორდო შედეგზე განსაკუთრებით მაღალი დონე მოითხოვს მრავალი წლის სისტემატურ წვრთნას დიდი დატვირთვით. სპორტსმენის [illegible] საწვრთნელ მეცადინეობაზე 5-6 ათას დიდ კალორიას შეადგენს და აქ წამოიჭრება საკითხი, რომელსაც დღემდე ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ყურადღებას არ აქცევდნენ. დღეს კი იგი საგანგებო გათვალისწინებელი ხდება: ენერგიის ასეთი დიდი ხარჯვა უნდა ანაზღაურდეს გაძლიერებული და მაღალხარისხოვანი კვებით; თანაც, ამით უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრებიც და მთელი ის ნიჭიერი ახალგაზრდობაც, რომელსაც ძალუძს მოხვდეს ნაკრები გუნდების კანდიდატთა შორის. ასეთთა რიცხვი კი 5-6 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს. ის გარემოება, რომ ვლადიმერ კუცი ინტენსიური წვრთნის დროს დღეში 4 ბიფშტექსს მიირთმევდა, ხოლო ემილ ზატოპეკი ერთ ჯერზე ულევდა ბოლოს დიდ ქილა მურაბას, უბრალო, სახუმარო ფაქტები კი არ არის, არამედ მაღალი ფიზიკური დატვირთვის ამტანი სპორტსმენის ორგანიზმის მოთხოვნილებაა.

საბჭოთა სპორტსმენთა კლასის ამაღლება, როგორც ეს პრაქტიკამ გვიჩვენა, [illegible] დამოკიდებული საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობაზე. მაგრამ ასეთ შეჯიბრებათა რიცხვი ჯერ ერთობ უკმარია, განსაკუთრებით — რესპუბლიკათა დონეზე. მაგალითად, საქართველოს სპორტსმენთათვის იგეგმება დაახლოებით 20-30 საერთაშორისო ასპარეზობა, ფაქტიურად კი 10—15 თუ ტარდება. შედარებისთვის აქვე აღვნიშნავთ, რომ ისეთი არც თუ დიდი ქვეყნის სპორტსმენები, როგორიც უნგრეთია, წელიწადში 400-ზე მეტ საერთაშორისო შეხვედრას ატარებენ.

საბჭოთა სპორტის განვითარების ინტერესები მოითხოვს იმასაც, რომ მოძმე რესპუბლიკებს ფართოდ შეეძლოთ სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ კავშირებთან მოლაპარაკებანი საერთაშორისო შეჯიბრებების მოსაწყობად. ვინ იცის უკეთ, თუ არა თვით რესპუბლიკამ — ვისთან უფრო მიზანშეწონილია შეხვედრა?! ასეთ შეჯიბრებათა რაოდენობასთან ერთად იმასაც ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როდის და სახელდობრ რომელ მეტოქეს შეხვდები?!

ზოგჯერ საჭირო ხდება იმაზე ლაპარაკიც, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდების დაკომპლექტება ობიექტურ მონაცემებს ემყარებოდეს. ერთი კონკრეტული მაგალითი: სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი სროლაში შ. ქველიაშვილი ტოკიოს ასპარეზობის წინ არ ჩანდა ოლიმპიელთა სიაში. მხოლოდ დიდი ზემოქმედების შედეგად ჩაირიცხა იგი ნაკრებ გუნდში და... მხოლოდ ამ ერთადერთმა სპორტსმენმა მოიპოვა ტოკიოში მედალი ჩვენი ქვეყნის ყველა მსროლელთა შორის! რა უნდა ითქვას ამასთან დაკავშირებით? ის, რომ სროლის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭო ან სრულებით არ იცნობს თავის სპორტსმენებს, ან კიდევ ტენდენციურად არჩევს მათგან ნაკრების კანდიდატებს.

ტოკიოს ოლიმპიადაზე წასული 20 საბჭოთა მოჭიდავიდან თითქმის ნახევარი — 9 სპორტსმენი — საქართველოს წარმომადგენელი იყო. და ასეთ დროს ოლიმპიური დელეგაციის შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკიდან ერთი მწვრთნელიც კი არ იყო შეყვანილი. ეს კი საბჭოთა სპორტის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს.

— რაც შეეხება სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის და ზამთრის სპარტაკიადებს: ამ უკანასკნელამდე წელიწადზე ნაკლები დრო დარჩა, ჩვენ კი ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია დამტკიცებული დებულება. ამ შემთხვევაში ოთხწლიანი პერსპექტიული გეგმის შესრულებაზე კი არა, იმაზეც ვერ ვილაპარაკებთ, თუ სახელდობრ რისთვის უნდა ვემზადოთ კარზე მომდგარი ამ დიდი ასპარეზობის თვალსაზრისით!..

ბევრი დამუშავება სჭირდება აგრეთვე ისედაც დიდი დაგვიანებით მოსულ დებულებას სსრ კავშირის ხალხთა 1967 წლის ზაფხულის საიუბილეო სპარტაკიადის შესახებ. მაგალითად, გაუგებარია სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის სახეობათა შერჩევის პრინციპი, როცა მასში ადგილი არ დარჩა ყველაზე უფრო მასობრივსა და პოპულარულ ფეხბურთს, ხოლო „ქალაქობანას" და ქალთა ველოსპორტს — ამ არაოლიმპიურ სახეობებს — ფართო გზა გაეხსნა. საიუბილეო სპარტაკიადაზე სპორტის სახეობების დაყოფა არ უნდა ხდებოდეს „სავალდებულოდ" და „არასავალდებულოდ", რამდენადაც ეს დიდი ღონისძიება ჩვენი სპორტის ყველა ძირითადი სახეობის დათვალიერებადაც უნდა გადაიქცეს. უამისოდ ჩვენ ვერ მივიღებთ მოკავშირე რესპუბლიკებში სპორტის განვითარების ნათელ სურათს.

კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი: ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლის ორგანიზაცია, დაგეგმვა და მეთოდიკა არსებითად განსხვავებული უნდა იყოს ჩრდილოეთში, შუა ზონაში და სამხრეთში. მაგალითად, როგორ შეიძლება მძლეოსანთა და ფეხბურთელთა წვრთნის მეთოდებს ჩრდილოეთსა და შუა ზონაში, სადაც 5-6 თვის მანძილზე თოვლი ძევს, რეკომენდაცია გაუწიოთ სამხრეთის რესპუბლიკებში, სადაც თოვლი რამდენიმე დღით თუ მოდის, ისიც ყოველ წელს არა.

ცხადია, რომ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის პრობლემათა მეცნიერული დამუშავება უნდა ხდებოდეს ჩრდილოეთშიც, ცენტრალურ ზონაშიც და სამხრეთშიც. ამ ასპექტში დავყენებთ ერთ კონკრეტულ საკითხსაც: საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, რომელიც ამ სისტემის ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა ჩვენს რესპუბლიკაში, რომელიც ეს-ესაა შეუდგა მასზე დაკისრებული დიდმნიშვნელოვანი პრობლემების დამუშავებას და ბოლოს, რომელიც დიდი ხნის შემდეგ ძლივს იქნა უზრუნველყოფილი ვრცელი შენობით და ზრდის დიდი პერსპექტივების წინაშეა, ახლა ფაქტიურად გაუქმებას უპირებენ. სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ უმაღლეს დონეზე უნდა განიხილოს ეს საკითხი და აღნიშნული ინსტიტუტი ადრინდელი სახით დატოვოს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი ზრუნვით მთელი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყოველდღიური დახმარებით, საქართველოს სპორტულმა ორგანიზაციებმა შეძლეს დიდი გამარჯვების მოპოვება — ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის ვადამდე, 6 წელიწადში შესრულება. ისინი კვლავ მთელი არსებით, მთელი შემართებით იბრძვიან ჩვენი სპორტის — საბჭოთა სპორტის აღმავლობაში ღირსეული წვლილის შესატანად.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ფეხბურთში** — გ. აკობაშვილს (თბილისი); **კრივში** — ვ. არუთინოვს (თბილისი); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — ვ. ბარამიძეს, ი. არტემიევს, ვ. ციტრნოვს (სამივენი — თბილისიდან).

• • •

საქართველოს სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ძალოსნობაში** — ვ. საინრანცს (თბილისი); **თანამედროვე ხუთჭიდში** — გ. კალმახელიძეს (თბილისი); **მძლეოსნობაში** — ა. მჭედლიშვილს (თბილისი); **ველოსპორტში** — მ. მარჯანიანცს (სოხუმი); **ჭიდაობა სამბოში** — გ. ხოლოდილინს (თბილისი); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — დ. მაღლაფერიძეს (თბილისი); **წყალქვეშა სპორტში** — ა. სალნიკოვს (თბილისი); **გემთმოდელიე სპორტში** — ა. შევარდნაძეს (თბილისი); **[illegible]-სამოტორო სპორტში** — ლ. ბეტკას (თბილისი).

ამ სურათზე თქვენ ხედავთ თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პედაგოგს, სპორტის ოსტატ მარინე უთმელიძეს. [illegible] კავკასიონის ბევრი მწვერვალი დაულაშქრია ამ უშიშარ ქართველ ქალს. მარინის ფეხქვეშ დაუცია თავის დროზე ისეთი უძნელესი მწვერვალები, როგორიცაა მონბლანი, უშბა.

მ. უთმელიძე დიდი გატაცებით ამეცადინებს მწვერვალებისა და ტურისტული ბილიკების მომავალ დამპყრობთ, თავის მდიდარ გამოცდილებას და ცოდნას უზიარებს სასახლის ტურისტებისა და ალპინისტების კაბინეტის წრის წევრებს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ახალი ამბები

● **ბელგრადი,** 23 მარტი. იუგოსლავიიდან სამშობლოში გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა გამართა უკანასკნელი მატჩი ქალაქ კრაგუევაცში ცნობილ „რადნიჩკისთან". გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 4:1 (2:0). ორი ბურთი გაიტანა კაზაკოვმა, თითო-თითო — ლოგოფეტმა და ჩისლენკომ. საბჭოთა გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: იაშინი (კრამარენკო), რიომინი, შესტერნიოვი, ჩერტკოვი (შუსტიკოვი), სოსნიხინი, ესკოვი, ლოგოფეტი, ჩისლენკო, კაზაკოვი, ხმელნიცკი, მესხი.

● **მოსკოვი.** საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა სპეციალური პრიზები — „სმენა" და „ახალგაზრდობა" ახალგაზრდულ გუნდებისთვის ჰოკეიში შაიბით. ჯილდოები, რომლებიც მოსკოვის „სპარტაკმა" და ცსკა-მ მოიპოვეს, გამარჯვებულებს გადასცა მსოფლიოს ჩემპიონის, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კომორგმა ვიქტორ კუზკინმა.

● **კაუნასი,** 23 მარტი. გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა კალათბურთელ ვაჟთა შორის. როგორც ვიუწყებოდით, ოქროს მედლები მეექვსედ მოიპოვა მოსკოვის ცსკა-მ. ვერცხლის მედლების მფლობელნი გახდნენ კიევის „სტროიტელის" კალათბურთელები, ბრინჯაოსი — თბილისის დინამოელები. მომდევნო ადგილებზე არიან: ვეფ (რიგა), „დინამო" (მოსკოვი), „კალევი" (ტარტუ), „ჟალგირისი" (კაუნასი), „სპარტაკი" (ლენინგრადი), სკა (რიგა), სკა (კიევი), „ლოკომოტივი" (ალმა-ათა), „სპარტაკი" (მინსკი).

● **მაგდებურგი,** 22 მარტი. აქ მიმდინარეობს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის II გათამაშების ნახევარფინალური ტურნირი წყალბურთში. პირველი მატჩი სსრ კავშირის ჩემპიონებს — მოსკოვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კლუბის წყალბურთელებს ჰქონდათ გდრ-ის ჩემპიონთან — ადგილობრივ „დინამოსთან". მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები, მაგრამ უკანასკნელ წუთებში გერმანელებმა კარგად გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა და ფრეს მიაღწიეს — 4:4. მეორე მატჩში — უნგრეთის ჩემპიონ სოლნოკის „დოჟასთან" საბჭოთა წყალბურთელების უპირატესობა აშკარა იყო და მათ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 5:2.

სურათზე: საკონტროლო მატჩის მომენტი ბათუმის „დინამოსა" და რიგის „დაუგავას" შორის. თამაში მოიგეს ბათუმელებმა — 1:0.

ფოტო ტ. ქიტამაშვილისა.

ჭადრაკი

ტრადიციული ჩემპიონატის სტარტი

მისასალმებელ ტრადიციად გადაიქცა საქართველოს მასწავლებელთა საჭადრაკო ჩემპიონატი, რომელსაც 1961 წელს საფუძველი ჩაუყარა განათლების და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა პროფკავშირმა.

ეს ასპარეზობანი მუდამ იზიდავს უძლიერეს მოჭადრაკეებს. ამიტომ ყველა ჩემპიონატმი საინტერესო პაექრობაში ჩაიარა. 1961 წელს ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ფოთელმა ხაზვის მასწავლებელმა ი. ლოლუამ. მაგრამ შემდეგ წელს იგი მხოლოდ მეორე იყო: ჩემპიონი გახდა ქუთაისელი მათემატიკის მასწავლებელი ლ. ჯახუა. 1963 წელს ი. ლოლუამ კვლავ დაიბრუნა პირველობა. 1964 წელს უძლიერესის სახელი წილად ხვდა გორის რაიონის სოფელ მერეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს შ. თოთლაძეს.

და, აი, V ტრადიციულ ტურნირზე თბილისში ჩამოვიდნენ ჩვენი ქალაქებისა და რაიონების ასპარეზობებში გამარჯვებული მასწავლებლები. მათ შორის არის გასული წლის ჩემპიონი თოთლაძეც.

ტურნირის 18 მონაწილე სამ ნახევარფინალურ ჯგუფად დაიყო, საიდანაც I—II ადგილებზე გამოსულნი ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან ჩემპიონის სახელისთვის.

სტარტი ჩინებულად აიღეს თოთლაძემ, კ. გვალიამ (გეგეჭკორის რაიონი), გ. ნიკოშვილმა (ახალციხე) და სხვ.

სროლა

საპრიზო ადგილებზე

მოსკოვსა და სოხუმში ცხრა დღეს გრძელდებოდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა ტყვიით სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების უძლიერესი მსროლელები.

სოხუმში კარგად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები. სოხუმელმა გ. ლუდუშაურმა ჭაბუკთა შორის 50 მეტრზე მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში 60 გასროლით 589 ქულა დააგროვა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მცირეკალიბრიანი შაშხანით სამი მდგომარეობიდან სროლაში (3×20) ტოლი არა ჰყავდა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონს ა. სტროევს. გამარჯვებულის შედეგია 564 ქულა. თბილისელი თ. მეგრელიშვილი ჩემპიონს 2 ქულით ჩამორჩა და III საპრიზო ადგილით დაკმაყოფილდა.

ვაჟთა შორის მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში თბილისელმა ა. შილოვმა და სოხუმელმა მ. პაპავამ 557 და 554 ქულა აჩვენეს და შესაბამისად II—III საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს. აღნიშნულ ვარჯიშში ჭაბუკთა შორის II ადგილი ხვდა წილად სოხუმელ ა. ელისაკაშვილს, რომელიც III ადგილზე გამოვიდა აგრეთვე 50 მეტრზე რევოლვერით სროლაში. 300 მეტრზე არმიული შაშხანით სამი მდგომარეობიდან სროლაში თბილისელებმა ა. მარუთიანმა (ვაჟთა შორის) და გ. ბუჩუკურმა (ჭაბუკთა შორის) III ადგილები დაისაკუთრეს.

მოსკოვში წარმატება ხვდა წილად თბილისის მე-20 საშუალო სკოლის მეათეკლასელ გ. თავდიდიშვილს (მწვრთნელი ა. ოგანეზოვი), რომელმაც ჭაბუკთა შორის ყველას აჯობა „გაქცეულ ირემზე" სროლაში.

ამ შეჯიბრებაზე ცუდად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის მსროლელი ქალები.

ი. იუნაევი.

[illegible]

◆ **საჩხერე**

ი. ჭავჭავაძის სახელობის მე-2 საშუალო სკოლაში მოეწყო მოჭადრაკე ვაჟთა და მოშაშე გოგონათა ჩემპიონატი, რომელიც არჩევნებს მიეძღვნა. მოჭადრაკეებში I—II ადგილები გაიყვეს ძმებმა ზ. და ს. იეანიშვილებმა. III ადგილი წილად ხვდა თ. იაკობაშვილს. შაშში ჩემპიონი გახდა ე. სალუქიშვილი.

ა. ანასაშვილი.

●

◆ **ზესტაფონი**

რკინიგზის მე-7 საშუალო სკოლაში მარტო მოსწავლენი როდი არიან ჩაბმული სპორტულ ცხოვრებაში: აქაური მასწავლებლებიც ხშირად მართავენ ასპარეზობას სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ახლახან მათ ჩაატარეს საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც I ადგილი მოიპოვა შ. ლაბაძემ.

ა. განუგრავა.

თხილამურებზე დადგნენ

წლევანდელმა ზამთარმა კმაყოფილები დატოვა მჭადისჯვრული მოსწავლეები. მათ ხომ ფიზაღზრდის მასწავლებლის ნ. ხერკელაძის მოწადინებით ამ ზამთარს პირველად გაუგეს „გემო" სათხილამურო სპორტს!

... საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა პედაგოგმა მუშაობის 9 წლის მანძილზე მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება შეიძინა. ამიტომ არის, რომ მის აღზრდილ მოსწავლე-სპორტსმენებს ხუდამ მოწინავეთა რიგებში ვხედავთ. მჭადისჯვრის საშუალო სკოლაში შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკისა და სხვა სექციები, რომლებშიც 200-მდე მოსწავლეა გაერთიანებული.

[illegible]

აქაური ჭაბუკები და გოგონები ხშირად აწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელი კოლმეურნეობებისა და სკოლების გუნდებთან, ატარებენ შიდასასკოლო შეჯიბრებებს... ამ უკანასკნელ ხანს აქ თანრიგოსანთა რაოდენობამ 120-ს მიაღწია.

და აი, მოსწავლეებმა მიზნად დაისახეს სათხილამურო სპორტის ათვისებაც. შეძენილ იქნა 30 წყვილი თხილამური, რეგულარულად მიმდინარეობდა ვარჯიში რბენაში, სწრაფდაშვებაში... და შედეგმაც არ დააყოვნა: ფიზკულტურელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა კარგად აითვისა თხილამურებით სიარული.

ვ. ქისტაური.

დუშეთის რაიონი.

სასკოლო ცხოვრება

სურათზე: ფიზაღზრდის მასწავლებელი ნ. ხერკელაძე ახალბედა მოთხილამურეებთან მეცადინეობისას.

ფოტო ავტორისა.

გაყოყოჩებული ოტელო

გაზაფხულდა! ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი თავცეცხლა. წყარო-ნაკადულები საამურად ლიკლიკებენ საბურთალოს ქუჩებში; ბუზებმა, ხარაბუზებმა და მსხვილი კალიბრის სხვა მწერებმა უკვე გაიღვიძეს ზოგიერთ კაფე-რესტორანში და კლიენტების მისაღებად ემზადებიან...

გაზაფხულდა! ბურთმა ააბოძირა თბილისელი გულშემატკივრები. ბურთი — აქ, ბურთი — იქ, ბურთი — ყველგან. ერთი სიტყვით, ბურთი, ბურთი, ბურთი!

—თბილისური ბურთი გავიდა ორბიტაზე! — ამბობენ თბილისელები.

— თბილისური ბურთი წელსაც გაარღვევს ატმოსფეროს სქელ ფენებს და მსოფლიო ფეხბურთის კოსმოსში შეიჭრება! — ოცნებობენ თბილისელები.

ობიექტური ოცნებაა. თბილისური ბურთი გალაქტიკაშიც კი შეიჭრება, მაგრამ თბილისელი გულშემატკივრებიც ხომ უნდა გავიდნენ კულტურულ მაყურებელთა ორბიტაზე? ესე იგი, ჩემპიონებსაც ხომ უნდა ჰყავდეთ ჩემპიონი მაყურებლები?

ობიექტური მოთხოვნაა. და აი, ამ საამურ გაზაფხულზე, როცა გულშემატკივრები უკვე ირაზმებიან სტადიონის ციხე-სიმაგრის ასაღებად, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთმა თეატრმა დადგა სპექტაკლი „ოტელო". წარმოდგენას მაყურებლების როლში ესწრებიან საგანგებოდ მოწვეული მსახიობები, რომლებიც ზუსტად განასახიერებენ გულშემატკივართა როლებს.

— დღეს ვინ ასრულებს ოტელოს როლს? — ამბობს ერთი გულშემატკივარი ბენუარის ლოჟაში.

— ჰამლეტ კალიფორნია, — უპასუხებს მეზობელი და მეხსუმხერის ჩენჩოს პარტერში მჯდომი გულშემატკივრის საყელოს „ურნაში" აპურჭყებს.

— ამბობენ, ოიდიპოს მეფის სასახლის კიბიდან დაგორებისას მიღებული ტრავმის შემდეგ ფორმა დაკარგაო.

— ფორმა არ დაუკარგავს, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— გაყოყოჩდა, ისე გაყოყოჩდა იმ რეცენზიის შემდეგ, რომ თუ დეზდემონამ კარგი პასი არ მისცა, მორჩა, დადგება და ფეხსაც არ გაანძრევს. გარდა ამისა, მშიშარაა კალიფორნია...

— ვისი ეშინია?

— მაყურებლების!

— ხო-ო-ო... მაყურებლები, სხვათა შორის, სერგო კოტრიკაძესაც სცემენ თავზარს. გახსოვს, ბურთი რომ გაგვიტანა დონეცკის „შახტიორმა"? იქ ვიჯექი მაშინ, დასავლეთის ტრიბუნაზე, ჩემს გვერდით ერთი გულშემატკივარი იდგა, ხმელ-ხმელი, მაღალ-მაღალი, ვიწრო სმოკინგით და ტორეადორის წინდებით. ისეთი ფიზიონომია ჰქონდა, იფიქრებდით, ეს-ეს არის, დამაწყნარებელი პერანგი გაუხდია და საგიჟეთიდან გამოქცეულაო. უშველებელი პირი ღლავივით ჰქონდა დაბჩენილი და შიგ მზესუმზირას იყრიდა საფანტივით, თანაც დასაკლავი ხარივით ბღაოდა. ჰოდა, ზუსტად იმ წამში, როცა დონეცკელი თავდამსხმელი ჩვენი საჯარიმო მოედნისკენ მოქროდა დიდი სისწრაფით, კოტრიკაძემ ამ კაცის ღრიალზე მისკენ გაიხედა.

— მერე რა?

— შევატყვე, ფერი ეცვალა სერგოს და ბურთმა მეტეორივით გაიელვა ჩვენს კარში.

ფელეტონი

სცენაზე თანდათან ვითარდება კონფლიქტი. მთავარი როლების შემსრულებლები კარგ ფორმაში არიან. მაგრამ აი, დადგა კვანძის გახსნის დროც.

დეზდემონა რბილ ლოგინში წევს და ტკბილად სძინავს, სანთელი ანთია. ამ უაღრესად დაძაბულ მომენტში შემოდის ეჭვიანობისგან გაგიჟებული ოტელო, რომელიც გადამწყვეტი დრიბლინგისთვის ემზადება.

ოტელო: ჩემი ვარამი ზღვისას ჰგავს: მას სჯის, რაც უყვარს. აგერ იღვიძებს...

დეზდემონა, რომლის როლს სახელგანთქმული მსახიობი ასრულებს, უკვე ემზადება თვალების გასახელად, მაგრამ გულშემატკივრებს ეჩვენებათ, თითქოს ოტელოს მეუღლეს ძილი გაუტკბა.

ხმა მაყურებლებში: დეზდემონა-ა-ა, უჰ, ჩქარა, პასი!

დეზდემონა იღვიძებს, მაგრამ ოტელო, რომელსაც ფეხში მესამე იარუსიდან გამოქანებული სიტროს ბოთლი მოხვდა, ადგილიდან არ იძვრის.

ხმა მაყურებლებში: ოტელო-ო-ო, მიდი, მიდი, გაგუდე!

შემოდის ემილია. იგი დეზდემონასთან მიირბენს და ხედავს, რას ხედავს: დეზდემონა ცოცხალია და შიშისგან კანკალებს.

— ოტელო-ო-ო! — მაღალ ნოტებზე გაჰკივიან გულშემატკივრები, — მოცელე, რას დამდგარხარ!

გულმოსული ოტელო დეზდემონას მაგივრად ემილიას ეცემა და შეცდომით მას დაახრჩობს.

ხმა მაყურებლებში: რეფერი, სადა ხარ, ეს არის ტაქტიკა?!

ამ ყვირილმა და სცენაზე დატრიალებულმა კოლიზიებმა ისე დააფეთა დირიჟორი, რომ მან „ოტელოს" პარტიტურა „კეკელა და მაროს" ნოტებში აურია და შექსპირის ტრაგედიის ფინალში ეს ჰანგი გაისმა.

— დირიჟო-ო-ორ, ხულიგან! — გაჰკივიან მაყურებლები მაღალ ნოტებზე.

— მუზიკა-ა-ანტ, მეხაშე!

— ორკესტრ, ტრაქტორ!

ფარდა დაეშვა. ანგარიშია 1:0 მახიობ-მაყურებელთა სასარგებლოდ.

და აი, მორალიც: ამის შემდეგ ფიასკოდ არ მივიჩნევ, თუ რომელიმე ზეინკლიშვილი ან რეხვიაშვილი საკუთარ კარში მიათავსებენ მრგვალ ბურთს? ეს, რა თქმა უნდა, არ არის გასაკვირი. გასაკვირი აქ ერთია: თუ არსებობენ ფეხბურთელთა მწვრთნელები, რატომ არ შეიძლება, რომ ზოგიერთ მაყურებელსაც დაენიშნოს მწვრთნელი? „მაგრამ სად ვიშოვოთ ამდენი მწვრთნელი, ან ამდენი მაყურებელი სადღა ვავარჯიშოთ?", — იკითხავთ თქვენ.

სტადიონზე, სტადიონზევე შეიძლება ფორმიდან გამოსულ მაყურებელთა წვრთნა და ვარჯიში. ამისთვის არ დაგვჭირდება არც კაჩალინი, არც ჟორდანია, არც ალიოშა კოტრიკაძე. ამ საქმეს თვით კარგ ფორმაში მყოფმა მაყურებლებმა უნდა მოჰკიდონ ხელი და ზოგიერთ ვაიგულშემატკივარს ფეხბურთის ყურების ტაქტიკა, ტექნიკა და სხვა ილეთები შეასწავლონ. რა, ვერ შეძლებენ?

ბოლოს და ბოლოს, მილიციის მუშაკებსაც ხომ ესმით ფეხბურთი?

გ. შადური.

მსოფლიო პირველობა — უბოტვინიკოდ

მიხეილ ბოტვინიკი არ მიიღებს მონაწილეობას ბრძოლაში მსოფლიო პირველობისთვის მიმდინარე ციკლში. ეს ცნობილი გახდა 10 მარტს. ამ დროისთვის ფიდე-ს პრეზიდენტმა ფ. როგარდმა თხოვა პრეტენდენტებს დაედასტურებინათ თავიანთი მონაწილეობა მსოფლიო პირველობისთვის შეჯიბრებაში. მიხეილ ბოტვინიკისგან დასტური არ მოსულა, რაც უარს ნიშნავდა.

12 მარტს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პრესაში შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა:

„... უარს ვაცხადებ მსოფლიო პირველობის (1964-1965 წლების პერიოდში) შეჯიბრებებში მონაწილეობაზე შემდეგი მიზეზების გამო.

1. მე არ მომწონს ფიდე-ს (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) პოლიტიკა მსოფლიო პირველობასთან დაკავშირებულ საკითხებში, და კერძოდ, დამარცხებული მსოფლიო ჩემპიონის მატჩ-რევანშზე ტრადიციული უფლების გაუქმება.
2. მე რომ ამ შეჯიბრებებში მომეპოვებინა მსოფლიო პირველობაზე მატჩის თამაშის უფლება, მაშინ წლის მანძილზე 56 პარტია უნდა მეთამაშა. მომიხდებოდა ერთი წლით მიმეტოვებინა მუშაობა, როგორც ელექტროტექნიკაში, ისე საჭადრაკო პროგრამის შედგენაზე, — ამაზე კი წასვლა არ შემეძლო".

თავის უარს მიხეილ ბოტვინიკი ასაბუთებს ორი არგუმენტით, რომლებიც განმარტებას მოითხოვს.

მატჩ-რევანშზე დამარცხებული მსოფლიო ჩემპიონის უფლების საკითხს თავისი ისტორია აქვს. ეს უფლება დაკანონებული იყო 1947 წელს ფიდე-ს გადაწყვეტილებით (კონგრესს ბოტვინიკიც ესწრებოდა) და ორჯერ იყო რეალიზებული მატჩ-რევანშებში ვ. სმისლოვთან 1958 წელს და მ. ტალთან 1961 წელს. მაგრამ საჭადრაკო სამყაროში გამოითქვა აზრი, რომ მატჩ-რევანში მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს პრეტენდენტს, რომელსაც უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულის მოსაპოვებლად უწევს არა მარტო ძნელი და მრავალსაფეხურიანი შერჩევითი გზის გავლა, არამედ ორჯერ შებმა მსოფლიო ჩემპიონთან უძნელეს ორთაბრძოლაში.

ამ თვალსაზრისს ფიდე-მ მხარი დაუჭირა და მიიღო გადაწყვეტილება მატჩ-რევანშზე მსოფლიო ჩემპიონის უფლების გაუქმების შესახებ. ბოლო მატჩში ტ. პეტროსიანთან ბოტვინიკმა ითამაშა უკვე ამ უფლების გარეშე.

შეიძლება გავიგოთ ფიდე-ს გადაწყვეტილებით გამოწვეული უკმაყოფილება ბოტვინიკისა, მაგრამ, მე, ისე როგორც დიდოსტატთა უმრავლესობას, ეს გადაწყვეტილება სამართლიანად მიმაჩნია.

რაც შეეხება ფიდე-ს პოლიტიკას მსოფლიო პირველობის გათამაშების საკითხთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ დაეთანხმო ბოტვინიკს იმაში, რომ იგი გადახედვას საჭიროებს. კერძოდ, საჭიროა გაუქმდეს დაუშვებელი დისკრიმინაცია, რომელიც ზღუდავს საზონათშორისო ტურნირიდან საბჭოთა მოჭადრაკეების გასვლას პრეტენდენტთა შეჯიბრებაში. სხვათა შორის, მსოფლიო პირველობის გათამაშების საკითხი მსჯელობის საგანი გახდება ფიდე-ს მორიგ კონგრესზე, მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

პრეტენდენტთა შეჯიბრებაში მ. ბოტვინიკის უარის სერიოზულ არგუმენტაციას წარმოადგენს მისი განცხადების მეორე ნაწილი.

როგორც ცნობილია, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბოტვინიკი ელექტროტექნიკის დარგის ცნობილი სპეციალისტია. გარდა ამისა, იგი დიდ მუშაობას ეწევა ელექტროგამომთვლელი მანქანებისთვის საჭადრაკო პროგრამის შედგენაში. სავსებით გასაგებია, რომ ბრძოლა მსოფლიო პირველობისთვის მას დიდი ხნით ჩამოაშორებდა სამეცნიერო მოღვაწეობას. პრეტენდენტების ასპარეზობაში წარმატებითი გამოსვლის შემთხვევაში ბოტვინიკს მოუწევდა 10 პარტიის თამაში მეოთხედფინალურ მატჩში, 10-სა — ნახევარფინალურში, 12-სა — ფინალურში და 24-სა — პეტროსიანთან მატჩში. ეს იქნებოდა ფიზიკური და გონებრივი ძალების უდიდესი დაძაბულობა!

არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა მოჭადრაკეების ლიდერს წელს 54 წელი უსრულდება. მართალია, ჯერ ნაადრევია ლაპარაკი მის საჭადრაკო სიბერეზე (ამის მეტყველი მოწმობაა, თუნდაც სსრ კავშირის შარშანდელი გუნდური პირველობა, სადაც ბოტვინიკმა დამაჯერებლად დაამარცხა პეტროსიანი, სმისლოვი და შტეინი), მაგრამ პრეტენდენტთა ასპარეზობის ტვირთის ზიდვა მისთვის ალბათ ძნელი იქნებოდა.

მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაზე ბოტვინიკის უარი, ცხადია, არ ნიშნავს საჭადრაკო სარბიელიდან მის წასვლას. ჩვენ კიდევ არა ერთხელ ვიქნებით საბჭოთა და საერთაშორისო ტურნირებში ბოტვინიკის გამარჯვებათა მოწმე.

ი. ავერბახი,
საერთაშორისო დიდოსტატი.

მიტო გორდელაძე, რეგბი და რეგბისტები

ჩვენი ქვეყნის გოგონებსა და ჭაბუკებს ყოველი პირობა აქვთ შექმნილი თავიანთი ნიჭის გამოსავლინებლად. ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ნორჩი მხატვრებისა და მუსიკოსების საკავშირო კონკურსები. მათგან საუკეთესოები საზღვარგარეთ აჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას და ხშირად ჯილდოებით ხელდამშვენებულნი ბრუნდებიან სამშობლოში. ახლახან კიდევ ერთმა ჭაბუკმა გაგვახარა. იგი თბილისის პირველი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე მიტო გორდელაძეა. მან ნორჩ მხატვართა მსოფლიო კონკურსში, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის ლიგამ გამართა, ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

მნახველთა და სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა მ. გორდელაძის ნახატებმა „რეგბი თბილისში", „ამერიკული კინოფილმი" და „უკანასკნელი ცნობები".

ნორჩი მხატვრის სპორტისადმი სიყვარული უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ და თბილისის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭომ იგი სიგელით დააჯილდოვა, ხოლო რეგბისტებმა მას თავიანთი იარაღი — ბურთი უძღვნეს წარწერით.

* * *

სურათებზე: ზევით — მიტო გორდელაძე საჩუქრებით ხელში; ქვევით — ერთ-ერთი პრემირებული სურათი— „რეგბი თბილისში".



სამი შეხედულება

რუმინულ გაზეთ „ლე სპორტ ენ რუმენში" გამოქვეყნებულია სამი ცნობილი სპეციალისტის წერილი თანამედროვე ფეხბურთზე, რომელიც ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს.

ალენ ვეიდი

(ინგლისი)

თანამედროვე ფეხბურთის მთავარი ნაკლოვანება თავდასხმის ხაზის სისუსტე, შეტევის უფერულობა და ისეთი კლასის თავდამსხმელთა უყოლობა, როგორიც იყვნენ ს. პიოლა, ტ. დრეიკი, ტ. ლაუტონი. ჩემი აზრით, თამაშის აქცენტის გადატანა დაცვაზე და მისი რიცხობრივი გაზრდა გამოწვეულია 4-2-4 სისტემის მცდარი გაგებით. გუნდების უმეტესობამ ეს სისტემა შეითვისა ტრაფარეტულად და წინა ხაზის მოთამაშეებს წაართვა შემოქმედებითი ფანტაზიისა და პირადი ინიციატივის უნარი. საჭიროა ავამაღლოთ მოთამაშის აქტიურობა, მივაჩვიოთ იგი პოზიციის სწრაფ შეცვლას და, რაც მთავარია, შემოქმედებით თამაშს.

ფეხბურთში 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ პროგნოზების გაკეთება ძალიან ძნელი საქმეა. სავარაუდოა, რომ ჩემპიონის ტიტულის მთავარი პრეტენდენტები იქნებიან ბრაზილია, იტალია, შოტლანდია და ინგლისი.

ჰელმუტ შენი

(გფრ)

ევროპის მრავალ გუნდთან მქონია საქმე, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ასაკითაც და ტემპერამენტითაც. დავრწმუნდი, რომ კოლექტივში მთავარი მაინც შემადგენლობის ერთგვაროვნებაა. გუნდი, რომელიც მხოლოდ „ვარსკვლავებისგან" შედგება, შეიძლება დაამარცხოს შედარებით სუსტი მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა კოლექტივმა, თუ იგი ამ ზემოხსენებული ერთგვაროვნებით ხასიათდება. ფეხბურთში საჭიროა ბევრი მუშაობა, რეჟიმი, სიბეჯითე და მუყაითობა. ჩვენ გვყავდა მეტად ნიჭიერი ფეხბურთელი რანი, რომელიც მალე გამოეთიშა დიდ ფეხბურთს, ვინაიდან არასპორტულ ცხოვრებას მისდევდა. მის საპირისპიროდ ზეელერი საშუალო ნიჭითაა დაჯილდოებული, მაგრამ თავის თავზე სისტემატურმა მუშაობამ იგი მსოფლიო კლასის მოთამაშედ გახადა.

რაც შეეხება გუნდის თამაშის სისტემას, მე მივეკუთვნები მათ რიცხვს, ვინც ყოველ თამაშში სხვადასხვა სქემას ხმარობს. 4-2-4 შესანიშნავი სისტემაა, მაგრამ მისი გამოყენებისთვის საჭიროა გყავდეს ტექნიკურად მაღალი დონის და ფიზიკურად კარგად მომზადებული მოთამაშეები. მთავარია, მწვრთნელმა იცოდეს თავისი აღსაზრდელების შესაძლებლობანი და მათი თამაშის შესაფერი სისტემა გამონახოს.

ლუიჯი ბონიცონი

(იტალია)

დღესდღეობით ფეხბურთი ზრდის პროცესში იმყოფება. ამ ბოლო ხანს თითქმის ყველგან და, განსაკუთრებით, ჩვენთან — იტალიაში, მისდევენ დაცვით ფეხბურთს. თამაშს თან სდევს მხოლოდ ერთი მელოდია „ჩვენ არ უნდა წავაგოთ". გამოდიან პრინციპიდან: არ შეგვიგდონ გოლი და თუ შესაძლებელია, შენ შეაგდე. აი, ამით აიხსნება ხშირი ანგარიში 1:0 იტალიის ჩემპიონატში.

მეორეს მხრივ, ვფიქრობ, ეს წარმავალი კრიზისია ფეხბურთის განვითარების ისტორიაში, და შეიძლება საჭიროც. რომ გადალახო მეტოქის მასირებული დაცვა, საჭიროა გააუმჯობესო თავდასხმის თამაში, ფორვარდების ხაზში მოძებნო რაღაც ახალი, კერძოდ, მაქსიმალურად უნდა განვითარდეს ე. წ. „სისწრაფის ტექნიკა". ცხადია, ეს უფრო მაღალი კლასის ფეხბურთისთვის ამზადებს ნიადაგს.

რაც შეეხება ოფსაიდის გაუქმებას, მე ამის სასტიკი მოწინააღმდეგე ვარ, ვინაიდან თავდაცვისას მთელი გუნდი იძულებული იქნებოდა 16 მეტრის ხაზზე განლაგებულიყო. უკეთესია ფეხბურთიდან გააძევონ უხეში თამაში და „გაწმინდონ" სპორტის ეს სახეობა.

რუჟიცა ახარებს იუგოსლაველებს

ბელგრადი. დაძაბულად მიმდინარეობს 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობს. ტურნირის მთავარი სენსაციაა ახალგაზრდა იუგოსლაველი ლილიაკის ლიდერობა და ლაზარევიჩის ცუდი სტარტი.

თითქმის არავის არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ასპარეზობის ფინიშთან პირველი იქნებოდა ლაზარევიჩი. მაგრამ, როგორც ჩანს, იუგოსლაველთა კერპს გაუჭირდება ქომაგების იმედების გამართლება. V ტურში იგი მოულოდნელად დამარცხდა თანამემამულე კურეშთან, კიდევ ერთი ტურის შემდეგ ყაიმს დასჯერდა რუმინელ ტეოდორესკუსთან. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ლაზარევიჩის შეხვედრას ლილიაკთან. ლაზარევიჩმა შეძლო პარტიის მოგება.

ლილიაკმა ქულები ძირითადად დააგროვა ბელგრადელ მოჭადრაკეებთან შეხვედრებში, რომლებიც აუტსაიდერებში არიან. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი გამარჯვება შტადლერთან.

პრესა კმაყოფილებით წერს 16 წლის რუჟიცა იოვანოვიჩის შესახებ, რომელმაც მოუგო პოლონელ კონარკოვსკას, ჰოლანდიელ ჰეემსკერკს, ხოლო პარტია ლაზარევიჩთან აშკარად საყაიმო პოზიციაში გადადო.

უცხოელი სტუმრებიდან შესანიშნავად თამაშობენ უნგრელი ბილეკი და რუმინელები ტეოდორესკუ და პოლიქრონიადე.

9 ტურის შემდეგ წინ არიან ლილიაკი (6 ქულა და 1 გადადებული პარტია), რ. იოვანოვიჩი (5), ბილეკი (4,5 ქულა და 3 გადადებული პარტია), ტეოდორესკუ (4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია), ლაზარევიჩი, პოლიქრონიადე (4-4 ქულა და 3-3 გადადებული პარტია), პიხალიჩი (4 ქულა და 1 გადადებული პარტია).

„ჩელსის" გაჭირვება

ლონდონი. ინგლისის პირველი ლიგის ერთ-ერთი წამყვანი კლუბი, ლონდონის „ჩელსი" დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. კლუბის თავმჯდომარემ ჯ. მილსმა განაცხადა, რომ გუნდის დეფიციტი 30 ათასი გირვანქა სტერლინგია და საქმეს მოთამაშეების გაყიდვა თუ უშველის.

„ჩელსი" უკვე მოელაპარაკა „კოვენტრი სიტის" თავისი მოთამაშე ჰარისონის დათმობაზე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. **24-26 მარტი. სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონატი ქალთა შორის.** „ა" კლასი. დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 13 ს. — **„ურალმაში"** (სვერდლოვსკი) — **„ტექსტილმაში"** (ტაშკენტი), 14 ს. 30 წ. — **სკა** (ლენინგრადი) — **„სერპ ი მოლოტი"** (მოსკოვი), 16 ს. — **„ბურევესტნიკი"** (დონის როსტოვი) — **„უნივერსიტეტი"** (ტარტუ), 17 ს. 30 წ. — **„დინამო"** (კიევი) — **„სიბირიაჩკა"** (ნოვოსიბირსკი), 19 ს. — **სკი** (თბილისი) — **„სპარტაკი"** (მოსკოვის ოლქი), 20 ს. 30 წ. — **„ბურევესტნიკი"** (ლენინგრადი) — **ტტტ** (რიგა).

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **24 მარტი-4 აპრილი. „განთიადის" ცენტრალური საბჭოს პირველობა.** დასაწყისი 16 ს. 30 წ. მასწავლებელთა სახლი (ფურცელაძის ქ. № 3). **24-31 მარტი. რესპუბლიკის პირველობა მასწავლებელთა შორის.** დასაწყისი 10 ს.

ფეხბურთი. „ბურევესტნიკის" სტადიონი. **25 მარტი. საკონტროლო შეხვედრა. „ა" კლასი. „ლოკომოტივი"** (თბილისი) — **„არარატი"** (ერევანი). დასაწყისი: 15 ს. — სათადარიგო შემადგენლობანი. 17 ს. — ძირითადი შემადგენლობანი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

25 მარტს

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში (რუსთაველის პრ. № 48) მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონ **ა. ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.**

პროგრამაშია: 1. ა. ალიოხინის ცხოვრება და შემოქმედება, მასთან შეხვედრების მოგონებები (ოსტატი ნ. სოროკინი). 2. ა. ალიოხინის საუკეთესო პარტიების დემონსტრაცია (ოსტატი ბ. გურგენიძე). 3. ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნის კონკურსი კლუბის პრიზზე.

დასაწყისი 20 საათზე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი თანაუგრძნობს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. ვ. ნორაკიძეს დედის **მანუჩა ივანეს ასულ ნორაკიძის** გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00588